მიჯაჭვულობის სტილი და სომატური სიმპტომები: ემოციური რეგულაციის მედიაციური როლი

მარიამ კორაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

4/06/2026

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო დისფუნქციური მიჯაჭვულობის სტილებსა და სომატურ სიმპტომებს შორის კავშირის შესწავლა ემოციური რეგულაციის (კოგნიტური გადაფასება, ექსპრესიული ჩახშობა) მედიაციური როლის გათვალისწინებით. კვლევაში მონაწილეობდა 113 ზრდასრული (91 ქალი და 22 მამაკაცი), რომელთა ასაკი 18-დან 52 წლამდე მერყეობდა. მონაცემები შეგროვდა ონლაინ პლატფორმის მეშვეობით და დამუშავდა SPSS პროგრამაში. გამოყენებულია ზრდასრულთა მიჯაჭვულობის სკალა (RAAS), ემოციური რეგულაციის კითხვარი (ERQ) და სომატური სიმპტომების სკალა (PHQ-15).

შედეგებით დადგინდა, რომ როგორც შფოთვითი, ისე ამრიდებლური მიჯაჭვულობა დადებითად იყო დაკავშირებული სომატურ სიმპტომებთან. ამრიდებლური და შფოთვითი მიჯაჭვულობა ასევე დადებითად კორელირებდა ექსპრესიულ ჩახშობასთან, ხოლო შფოთვითი მიჯაჭვულობა უარყოფითად უკავშირდებოდა კოგნიტურ გადაფასებას. პარალელური მედიაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ექსპრესიული ჩახშობა სტატისტიკურად მნიშვნელოვან მედიატორულ როლს ასრულებს დისფუნქციური მიჯაჭვულობისა და სომატურ სიმპტომებს შორის, მაშინ, როდესაც კოგნიტური გადაფასების როლი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს, ემოციური რეგულაციის, განსაკუთრებით კი ექსპრესიული ჩახშობის მნიშვნელობას სომატური სიმპტომების გამოვლინებაში. მიღებული მონაცემები მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით და მიუთითებს, რომ დისფუნქციური მიჯაჭვულობის მქონე ინდივიდებთან მუშაობისას ყურადღება უნდა მიექცეს ემოციების რეგულაციის პროცესებსა და სხეულებრივ გამოცდილებებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მიჯაჭვულობა, ემოციების რეგულაცია, სომატური სიმპტომები, სომატიზაცია

Abstract

The purpose of this study was to examine the relationship between unsecure attachment styles (anxious and avoidant) and somatic symptoms, considering the mediating role of emotion regulation (cognitive reappraisal, expressive suppression). The study sample consisted of 113 adults (91 females and 22 males) aged between 18 and 52 years. Data were collected via an online platform and analyzed using SPSS software. The Revised Adult Attachment Scale (RAAS), the Emotion Regulation Questionnaire (ERQ), the Patient Health Questionnaire-15 (PHQ-15) were utilized.

The results indicated that both anxious and avoidant attachment styles were positively associated with somatic symptoms. Avoidant and anxious attachment also correlated positively with expressive suppression, whereas anxious attachment was negatively related to cognitive reapprasial. Parallel mediation analysis revealed that expressive suppression plays a statistically significant mediating role in the relationship between unsecure attachment and somatic symptoms, while thhe role of cognitive reapprasial was not statistically significant.

The findings highlight the importance of emotion regulation, particularly expressive suppression, in the development of somatic symptoms. The obtained data have both theoretical and practical implications suggesting that when working with individuals exhibiting insecure attachment patterns, attention should be paid to emotion regulation processes and bodily experiences.

Keywords: attachment, emotion regulation, somatic symptoms, somatization.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორ ნატა მეფარიშვილს გაწეული შრომისა და დახმარებისთვის. მუდმივად გვერდში მედგა, როგორც ემოციურად, ასევე პრაქტიკულად და აქტიურად იყო პროცესში ჩართული. მისი რეკომენდაციები დამეხმარა სამაგისტრო ნაშრომის შედგენაში.

ასევე მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპოდენტს, რომლებმაც დრო დაუთმეს კითხვარის შევსებას. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება.